

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-
თანამშრომელი

ქართულ-ბალტიური სოლიდარობის ისტორიიდან (XX საუკუნის მეორე ნახევარი)

ქართულ-ბალტიურ ურთიერთობებს ათ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია. ეს ურთიერთობანი ცვალებადი ინტენსივობით ვითარდებოდა. ამ საკითხს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ვიკვლევთ, რასაც მივუძღვენით რამდენიმე სტატია [15-21; 28; 30] და აგრეთვე, მონოგრაფია სახელწოდებით: „ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან“ [22], რომელიც 2011 წელს გამოსცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

სსრ კავშირში თანამიმდევრულად გატარებულ რუსიფიკაციის პოლიტიკას ყველაზე შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი ქართველი და ბალტიელი, კერძოდ, ლატვიელი, ლიტველი და ესტონელი ერებისა. აღნიშნული იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებაში კრემლს შეძლებისდაგვარად ხელს უშლიდნენ მეცნიერების, ლიტერატურისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პიროვნებანი.

ქართველებსა და ბალტიელ ხალხებს შორის ჩამოყალიბდა ერთგვარი შინაგანი სოლიდარობის გრძნობა, რომელიც საკმაოდ ხშირად ვლინდებოდა.

წინამდებარე სტატიაში მოყვანილია ქართულ-ბალტიური სოლიდარობის ისტორიის რამდენიმე საყურადღებო ფაქტი, რომელთა გარკვეული ნაწილიც არ შესულა ჩვენს ზემოხსენებულ მონოგრაფიაში.

ცნობილი თეატრმცოდნის, პროფესორ ვასილ კიკნაძის მოგონებებში მოთხრობილია, რომ გამოჩენილი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი, მრავალი პრემიის ლაურეატი ოთარ თაქთაქიშვილი (1924-1989), რომელიც 1965-1984 წლებში საქართველოს კულტურის მინისტრად მუშაობდა, განსაკუთრებით მეგობრობდა ბალტიისპირელ კოლეგებთან და, მათ შორის, ესტონელებთან.

ვ. კიკნაძე წერს: „ცნობილი ფაქტია, რომ ტრიუმფით დამთავრდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეები. ბატონმა ოთარმა იქ თავი გამოიჩინა, როგორც დიდი კულტურის მქონე მინისტრმა. მან თარჯიმნებად ქართველი გერმანისტები წაიყვანა. მაშინ ეს ძალიან დიდი გაბედულება და უნიკალური შემთხვევა იყო. როგორც წესი, თარჯიმნებად მიჰყავდათ რუსები, რადგან რუსული უნდა ყოფილიყო ურთიერთობის ენა. ამ შემთხვევაში კი რუსული არცერთ მხარეს არ დასჭირდებოდა.

ქართული კულტურის დღეების შემდეგ, პოლიტიკურად მ. სუსლოვის მეთაურობით საგანგებოდ განიხილა მოძმე რესპუბლიკების კულტურის დღეების საკითხი. მიიღეს მათთვის ჩვეული, იმპერიული გადაწყვეტილება. არამცთუ დემოკრატიულ ქვეყნებში, არამედ მოკავშირე რესპუბლიკებსაც ერთმანეთთან კულტურის დღეები ასეთი ფორმით აღარ უნდა ჩატარებინათ. შემოიღეს „საბჭოთა კულტურის დღეები“, რაც ნიშნავდა რუსეთის მონაწილეობას ყველა რესპუბლიკის კულტურულ დეკადაში. ამ დროს, საქართველოს და ესტონეთს უკვე ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ ესტონეთში ჩატარებულიყო ქართული კულტურის დღეები. ბრეჟნევის საქართველოში ყოფნისას შევარდნაძის სიტყვაშიც გაიჟღერა ამ ფაქტმა, მაგრამ დადგენილების შემდეგ, ყველაფერი შეიცვალა. როგორც ვთქვი, აიკრძალა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენელთა ერთი-ერთზე შეხვედრა.

– აი, ახლა, რა უნდა ვქნათ. აგვიკრძალეს ესტონეთში მარტო წასვლა. რალაც უნდა მოვიფიქროთ – ამბობს ბატონი ოთარი და „ვეჩეთი“ რეკავს მოსკოვში, ცეკაში. დაუკავშირდა ერთ-ერთ მდივანს, მგონი დემიჩევს. დემიჩევი პასუხობს, გადმორეკეთ ნახევარი საათის შემდეგ, საკითხზე სუსლოვს დაველაპარაკებო.

ბატონი ოთარი იმწამსვე რეკავს ესტონეთის ცეკას მესამე მდივანთან. ესტონეთს ძალიან უნდოდა ქართული კულტურის დღეების ჩატარება. რუსეთისადმი საოცარი სიძულვილი ჰქონდათ. ბატონი ოთარი მდივანს ისე ელაპარაკება, რომ მიახვედროს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ეს ღონისძიება.

– ხომ გახსოვთ, ქართული კულტურის დღეები ესტონეთში პოლიტიბიუროს დადგენილებამდე იყო გადანაცვლებილი. თქვენ ხომ უკვე გამოაცხადეთ ამის შესახებ. ალბათ, რადიოშიც იქნებოდა, ყველგან. აბა, ხალხის მოტყუება როგორ შეიძლება, რას იტყვის საყვარელი ესტონელი ხალხი... მე ნახევარ საათში კიდევ უნდა დავურეკო ამხ. დემიჩევს და აი, ვეტყვი, რომ ესტონეთში დიდი სამზადისია უკვე ჩატარებული. თანაც ბრეჟნევმა იცის, შევარდნაძემ თავის სტატიაში ხომ ახსენა ესტონეთში ჩვენი კულტურის დღეები... ასე როგორ შეიძლება ხალხის გაბითურება!"

მივხვდი, რომ ესტონეთის მდივანს მთელი სამოქმედო ინფორმაცია გადასცა. გააგებინა, თუ როგორ უნდა ემოქმედათ. მე კაბინეტიდან გამოსასვლელად წამოვდექი.

– ნუ მიდიხარ, დარჩი, არ გაინტერესებს?

ათი წუთის შემდეგ რეკავს ესტონეთის ცეკას მდივანი და ბატონო ოთარს ეუბნება: ესტონეთის რადიომ ეს-ეს არის გადმოსცა მასალა ქართული კულტურის დღეების შესახებ. ჩვენ უკვე დავუკავშირდით მოსკოვში ცეკას, ყველამ იცის ქართული კულტურის დღეების შესახებ. ხალხი ვერ გაგვიგებს, ხალხში უკმაყოფილება იქნება, თუ ჩაიშლება ღონისძიება.

ბატონი ოთარი იცინის:

– აი, ვასო, რა ჭკვიანი ხალხია ესტონელები. ხელად მიხვდა ჩემს საუბარს. ათ წუთში ყველაფერი გააკეთეს. ახლა მე დავურეკავ ამხ. დემიჩევს. დარეკა. ამხ. დემიჩევმა უთხრა, რომ ესტონეთი შემოფოთებულია ღონისძიების ჩაშლით. რაკი ბრეჟნევი ინფორმირებულია, დეკადა უნდა ჩატარდეს.

ბატონმა ოთარმა პირდაპირ დემონსტრაციულად მაჩვენა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეროვნული საქმე. ამ მხრივ ის ხომ მართლაც დიდი პატრიოტი იყო – საქმით პატრიოტი" [8, 94-96].

მწერალ ფრიდონ ხალვაშის (1924-2010) ცნობით, 1964 წლის შემოდგომაზე, ჩინეთსა და ვიეტნამში მოგზაურობისას, მათი დელეგაციის ხელმძღვანელმა მაქსაკოვმა, რომელიც ვერ ფარავდა თავის შოვინისტურ დამოკიდებულებას არარუსთა მიმართ, ნასვამ მდგომარეობაში ყოფნისას გაიხსენა, თუ როგორ მონაწილეობდა მათი დივიზია დამოუკიდებელი ლატვიის რესპუბლიკის ოკუპაციაში.

ფ. ხალვაში იგონებდა: „მაქსაკოვმა რატომღაც ომის დღეები გაიხსენა. იგი, პოლკოვნიკი, თურმე დივიზიის პოლიტსამმართველოს უფროსი ყოფილა ფრონტზე. ბალტიისპირეთს „ვათავისუფლებდითო“ – გვიყვება. ბოლოს, როცა ის აღწერა, თუ როგორ დაუშინეს ლატვიელმა ქალებმა ფანჯრებიდან „განმათავისუფლებელ“ რუს ოფიც-

რებს... დიახ, დიახ, – რუსებს, როგორც თავადვე გვიხსნიდა... ინდობდნენო ქართველებს და სხვა არარუსებს რატომღაც”.

მაშინ უკვე ველარ მოვითმინე და მივახალე:

– იცით, ლატვიელებმა რატომ გესროლეს მაშინ თქვენ? – იმის გამო გესროლეს, რომ გუშინ, ჰაიფონში, მე, სიტყვა არ მათქმევინეთ!“ [14, 160].

აქ ფ. ხალვაში გულისხმობდა იმას, რომ მაკსაკოვმა მას, როგორც არარუსს, საზეიმო შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა არ მისცა.

1975 წელს მოსკოვში მომხდარ ქართულ-ბალტიური სოლიდარობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე (დაბადებული 1922 წელს) ასე იგონებს: „60-იანი წლებიდან დაიწყო თითქოს ტაქტიანი, მაგრამ გეგმაზომიერი ბრძოლა ეროვნული ისტორიებისა და ეროვნული ენების წინააღმდეგ. შემუშავდა თვალსაზრისი: სსრკ ერთი სახელმწიფოა და მისი ისტორია შერწყმულად უნდა იყოს წარმოდგენილი, ე. ი. იყოს ერთი „История СССР“ და მასში იყოს შესული ყველა რესპუბლიკის ისტორია. ისეთი წიგნები არსებობდა (მაგალითად, ოთხტომიანი, პანკრატოვას რედაქციით), რომელშიც საქართველოს ისტორიას სულ 15-მდე გვერდი ჰქონდა დათმობილი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხოლოდ ასეთი „შერწყმული“ ისტორია უნდოდათ ესწავლებინათ და ზედმეტად თვლიდნენ ცალკე ეროვნული ისტორიების სწავლებას.

დაინიშნა მოსკოვში საკავშირო და რუსეთის განათლების სამინისტროების სხდომა, სადაც მიიწვიეს ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენლები... განათლების მინისტრმა, ქალბატონმა თამარ ლაშქარაშვილმა მთხოვა, რომ სხვებთან ერთად მეც წავსულიყავი მოსკოვის თათბირზე. ეროვნული ისტორიის პოზიციას ვიცავდით სომხები, ჩვენ და ბალტიისპირელები. დანარჩენი ყველა ჩვენი წინააღმდეგი იყო. ერთი დებულება, რომ ამ ხალხების ისტორია სხვადასხვა დროს იწყება, როგორ ვასწავლოთ შერწყმულად, – დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ბელორუსიის განათლების მინისტრმა ბრძანა, რომ „მათ არავისთან და საკუთრივ რუსეთთან გასაყოფი არაფერი აქვთ“, ხოლო ჩემ რეპლიკაზე – „თქვენი საქმე თქვენ იცით“, გაბრაზებულმა ბრძანა, რომ „ქართველებს და სომხებს თავიანთი თავი და ისტორია დიდი რაღაცა ჰგონიათ და ეს უნდა ამოიძირკოსო“.

კამათი გამწვავდა...

სიტყვა ითხოვა ლატვიის განათლების მინისტრმა და განაცხადა:

– „მე სახელმწიფო მოხელე ვარ, გავატარებ იმას, რასაც აქ დადგენთ, მაგრამ თუ სკოლებში ამოვიღებთ ეროვნული ისტორიის კურსს, ორი დღის შემდეგ რიგაში გაჩნდება იატაკქვეშა სკოლები საკუთარი ისტორიის შესასწავლად“.

სიტუაცია დაიძაბა. ჩამოვარდა სიჩუმე. თავმჯდომარემ (რუსეთის განათლების მინისტრი) შესვენება გამოაცხადა, ხოლო შესვენების შემდეგ ბრძანა, რომ თათბირი ამჟამად დამთავრებულია და განწყვეტილებას ადგილზე შეგატყობინებთ...

შემდეგი სხდომა, რამდენიმე თვის შემდეგ, რეგიონული პრინციპით მოიწვიეს, ამიერკავკასია – ცალკე, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ და ბალტიისპირელები საერთო ფრონტით არ გამოვსულიყავით...

საქართველოს ისტორია (და ასევე ყველა რესპუბლიკის, ვისაც ეს სურდა), როგორც დამოუკიდებელი საგანი, ვერ ამოიღეს საშუალო სკოლის პროგრამიდან, კომუნისტური რეჟიმის პირობებში" [10, 29-31].

ქართულ-ბალტიური ურთიერთსოლიდარობა სისტემატურად ვლინდებოდა როგორც მეცნიერების, ასევე კულტურის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სპორტშიც.

1960 წელს რომში გამართულ XVII ოლიმპიადაზე სსრ კავშირის საკალათბურთო ნაკრების შემადგენლობაში ერთად მოუწიათ თამაში ქართველ და ლატვიელ სახელოვან კალათბურთელებს: გურამ მინაშვილს, ვლადიმერ უგრეხელიძეს, მაიგონის ვალდმანისს, იანის კრუმინშსა და ვალდის მუიჟნიეს. მათ ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო საკავშირო გუნდი მეორე ადგილზე გავიდა (აშშ-ის ნაკრების შემდეგ).

გურამ მინაშვილი (დაბადებული 1936 წელს) იხსენებს: „როგორც პერსპექტიული მოთამაშე, „დინამოდან“ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოვხვდი. კარგად მახსოვს რომის ოლიმპიადა. ბოლო თამაში იტალიელებთან გვქონდა. ამერიკელებთან წავაგეთ და მათ პირველი ადგილი გაინალდეს. თუ იტალიელებს მოვუგებდით, მეორე ადგილი გარანტირებული გვქნებოდა, თუ წავაგებდით, მაშინ მეოთხეზე გავიდოდით. იმათაც ასეთივე მდგომარეობა ჰქონდათ.“

თამაშები იმართებოდა პატარა დარბაზში, სადაც 5.000 კაცი ეტეოდა. რატომღაც ჩვენი თამაში გადაიტანეს დიდ დარბაზში. 12.000 იტალიელი ტიფოზი – ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა, მაგრამ არც ჩვენ ვიყავით ჯაბანნი.

მე კარგი დამცველი ვიყავი. მოწინააღმდეგე გუნდიდან ყველაზე ძლიერ თავდამსხმელს „ვიყვანდი“ ხოლმე. იტალიის ნაკრებში ასეთი იყო ალეზინი. ის ისე „მოვერონჭე“, რომ ვერაფერს აკეთებდა. ჩემს

ფუნქციებში ბურთის გათამაშებაც შედიოდა. ერთი იტალიელი გადა-
მეკიდა. ბურთის წართმევა უნდოდა და კინალამ ბურთიანად შემჭამა.
მონინალმდეგეს კი უნდა აართვა ბურთი, მაგრამ სოლიდურად უნდა
ითამაშო. ის კი გადამეკიდა. ველარ მოვითმინე, ნერვები ამეშალა, ვი-
თომ ბურთი დავატრიალე და იდაყვი სახეში ჩავარტყი. ცხვირი გაუს-
კდა, წამოუვიდა სისხლი. ატყდა ერთი ამბავი. იტალიელმა ტიფოზებ-
მა დაიწყეს ყვირილი, თან ასლირიან მონეტებს ისროდნენ. მთელი ია-
ტაკი გაივსო, ცოცხებით ხვეტავდნენ, ან სად ჰქონდათ ამდენი...

ნაკრების მწვრთნელი იყო სპანდარიანი. მან ჭკუა იხმარა და
მოედნიდან გამიყვანა. ამ დროს ალეზინმა გაიფეჯილა, 9 ქულა გაა-
კეთა. ჩემს გვერდით, სკამზე იჯდა ჩემი სამი ლატვიელი თანაგუნდე-
ლი. მათ ერთმანეთში ლატვიურად დაიწყეს საუბარი. შემდეგ გუნდის
კაპიტანი ვალდმანისი ადგა, მივიდა სპანდარიანთან და რუსულად
უთხრა:

– თუ არ შეიყვანთ თამაშში მინაშვილს, იცოდეთ, წავაგებთო.

6-7 ქულას ვაგებდით. ძალიან მესიამოვნა. ასეთი რამ კალათ-
ბურთში არ ხდება. კალათბურთელს უფლება არ აქვს, რომ თამაშის
დროს მივიდეს მწვრთნელთან და თავისი აზრი უთხრას.

მოკლედ, შემიყვანეს თამაშში. ისევ „ავიყვანე“ ალეზინი და მო-
ვიგეთ“ [7, 64-65].

ქართულ-ბალტიური სოლიდარობის გამოვლინების მორიგ
ფაქტს მისთვის დამახასიათებელ იუმორისტულ სტილში მოგვით-
ხრობს ცნობილი ქართველი მსახიობი გივი ბერიკაშვილი: „მოსკოვში
ვართ, რესტორანში, გიგა ლორთქიფანიძე, ირაკლი უჩანეიშვილი,
თენგიზ არჩვაძე, გურამ ფირცხალავა, ნანი ბრეგვაძე და სხვები. ხო-
ლო ჩვენს იქით სხედან რიგელი კალათბურთელები, როგორც იტყვი-
ან, ნამყენები, ცას თავებით რომ ამტვრევენ. ისინი მხოლოდ წვენებს
წრუპავენ. რიგელების ახლოს კიდევ მაგიდას „პუჭურა“ იაპონელები
უსხედან.

ერთი იაპონელი გაგვივლის და გამოგვივლის ხოლმე. ამ დროს,
ჩემს აქეთ-იქით ნანი და ერთი ქალი უცებ შეხტებიან... ასე განმეორ-
და რამდენჯერმე. შევამჩნიე, ჩქმეტს ჩვენს ქალებს.

თუ კიდევ გამოიარა, მე ვაჩვენებ, ჩქმეტა როგორ უნდა-მეთქი.
მართლაც გამოიარა, მაგრამ გურამ ფირცხალავამ დამასწრო და ია-
პონელს ყელში სტაცა ხელი. არა, არ ახრჩობს, კანი გამოუნია და
მოუჭირა თითები... ეს ჩქმეტას ჰგავს, მაგრამ ჩქმეტაზე ცხრაჯერ
მწარეა. თანაც გურამ ფირცხალავამ რაკი ჩაიჭირა, ხელი აღარ გაუშ-
ვა.

„პუჭურა“ გამწარებული აყვირდა. მიეშველნენ იაპონელები, უმაღლეს მოვარდნენ მილიციელებიც და ექომაგებიან იაპონელებს. გურამ ფირცხალავას იჭერენ...

წამოხტნენ კალათბურთელები და ზოგმა მილიციელებს დაავლო ხელი, ზოგმაც იაპონელებს, ააკონწიალეს და ასე, ციმციმ გაიყვანეს გარეთ. ისინი ისევ შემოვიდნენ, მეტი მილიციელით. კვლავ ააკონწიალეს კალათბურთელებმა. გვეგონა, დამთავრდა განამანია-მეთქი. გაგიგონია? ერთად მოგვადგა ათი მილიციელი. რიგელმა კალათბურთელებმა ისინიც ააკონწიალეს და ასე გაიყვანეს გარეთ.

სუფრამ ეშხი დაკარგა. მაგრამ მოვიდა ერთი კალათბურთელი ჩვენთან და გვითხრა:

– ჩვენ აქ საქეიფოდ კი არ შემოვსულვართ. ვზივართ და ველოდებით, ნანი ბრეგვაძე როდის იმლერებსო.

მაშინვე ავიდა ნანი ესტრადაზე და გაჩაღდა სიმღერა. ნანი ირაკლი უჩანეიშვილმა შეცვალა, ირაკლი – ისევ ნანიმ...

მილიციელები კვლავ შემოვიდნენ, მაგრამ... ახლა უკვე მხოლოდ ტაშის დასაკვრელად. ნანის მომაჯადოებელმა სიმღერამ, თითქოს გრძნეულების კვერთხი გადაჰკრაო, მილიციელთა გაბოროტებაც კი სიკეთის ზეიმად აქცია“ [3, 128].

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან ბალტიის რესპუბლიკებში ფართო მასშტაბები მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელიც სსრ კავშირის მიერ ამ ქვეყნების მეორე ოკუპაციის (1945 წ.) შემდეგ, ცვალებადი ინტენსივობით ხასიათდებოდა. ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი ბალტიის ქვეყნების ისტორიოგრაფიაში [26; 27; 29; 31].

საქართველოს და ბალტიის რესპუბლიკების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.

1989 წლის 11 მარტს თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს სახალხო ფრონტის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 450 დელეგატი სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა, რომელშიც გამოხატეს მხარდაჭერა ლატვიის სახალხო ფრონტისა და ლატვიელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნებისადმი. მიმართვაში დაგმოხილ იქნა ინტერფრონტის შოვინისტური საქმიანობა ლატვიაში. იმავედროულად, კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბალტიის რესპუბლიკების სახალხო ფრონტების მხარდაჭერისა და მათთან კოორდინირებული თანამშრომლობის შესახებ [23, 1].

ბალტიისპირელ პატრიოტებთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ როგორც ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, ასევე მეცნიერებსაც, მათ შორის შოთა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს, კრიტიკოსს, ლიტერატურათმცოდნეს და პუბლიცისტ აკაკი ბაქრაძეს (1928-1999), აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს (ამჟამად – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს) და სხვებს.

თ. გამყრელიძე, რომელიც 1989 წელს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, იგონებდა: „ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ, როდესაც საჭირო გახდა განსაკუთრებული აქტივობა ტრაგიკული შედეგების ლიკვიდაციისა და ქვეყნის მონესრიგებისათვის, აკაკი ბაქრაძე მაშინ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერთაგანი იყო... განსაკუთრებით მჭიდრო გახდა ჩვენი თანამშრომლობა 1989 წლის მაისში, სახალხო დეპუტატთა I ყრილობაზე მოსკოვში, რომელიც, შეიძლება ითქვას, თითქმის 9 აპრილის მოვლენათა ნიშნით ჩატარდა.

ყრილობა ბალტიისპირელი დეპუტატის, ტალპეჟნიკოვის მოწოდებით დაიწყო, რომელიც მოულოდნელად გაიჭრა ტრიბუნისაკენ და მოითხოვა ფეხზე ადგომით ეცათ პატივი 9 აპრილს თბილისში დაღუპულთა ხსოვნისათვის. ეს იმდენად მოულოდნელი იყო პრეზიდენტში მსხდომი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის, რომ ზოგი მათგანი დაბნეულობისაგან ფეხზე წამოდგა.

ამ ფაქტის დამსწრე აკაკი ბაქრაძემ, რომელიც ყრილობაზე წარგზავნილ ქართველთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დეპუტაციის წევრი გახლდათ, აღნიშნა, რომ ბალტიისპირელებმა გააკეთეს, რაც ჩვენ – ქართველებს უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ ამასთანავე დასძინა, რომ არაქართველის ასეთი გამოსვლა ჩვენთვის პოლიტიკურად ალბათ, უფრო მომგებიანიც კი იყო“ [2, 55-56].

საგულისხმოა, რომ ლატვიაში 1988 წლიდან არაოფიციალურად მოქმედი ქართველთა საზოგადოება ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავდა და ადგილობრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან თანამშრომლობდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ ჩოგბურთელი ნუგზარ მძინარიშვილი, ექიმი ზურაბ ქეცბაია და ბიზნესმენი ბესარიონ ბერაძე.

1989 წლის 23 აგვისტოს ბალტიის სამივე რესპუბლიკაში მონაწილეობდა ამ ქვეყნების მილიონამდე მცხოვრები. ამით მათ საჯაროდ დაგმეს სსრ კავშირსა და გერმანიას შორის 50 წლის წინათ გაფორმებული დოკუმენტი (ე. წ. „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“) გავლენის

სფეროთა განაწილების შესახებ და იმავდროულად გამოხატეს სწრაფვა იმ პერიოდში დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

საგულისხმოა, რომ ამ აქციაში მონაწილეობდნენ საქართველოდან საგანგებოდ ჩასული პოლიტიკოსებიც, კერძოდ, სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე, ასევე, ირაკლი შენგელაია და მიხეილ ნანეიშვილი. ისინი ქართული, ეროვნული დროშით იდგნენ ლატვიელ და ლიტველ დემონსტრანტებს შორის, რითაც ამ ეპოქალური მოვლენისადმი ქართველი ერის პროგრესული ნაწილის სოლიდარობა საჯაროდ დააფიქსირეს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ლატვიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტები, მათ შორის, ინგუნა ებელე და მისი მეუღლე რომუალდს რაჟუკსი, რომლებიც საქართველოში სისტემატურად ჩამოდიოდნენ.

ი. ებელე იყო ლატვიის სახალხო ფრონტის ნდობით აღჭურვილი პირი საქართველოში და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ბალტიისპირეთის პრესაში სტატიებს აქვეყნებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წერილები სახელწოდებით: „Дни пробуждения Грузии“, „25 февраля – день траура в Грузии“, „Постигнет ли убийца расплата?“, „26 мая – день независимости Грузии“ და სხვები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ლატვიის სახალხო ფრონტის რუსულ ენაზე გამომავალ საინფორმაციო ბიულეტენში „ატმოდა“ („გამოლვიძება“) [23-25].

ჟურნალისტი ელგუჯა ლებანიძე, რომელიც 1989 წლის განმავლობაში ორჯერ იმყოფებოდა ლატვიაში, იგონებდა: „ინგუნა ებელე პირველად თბილისში, აკაკი ბაქრაძის ლექციაზე ვნახე. სავსე დარბაზი სულგანაბული უსმენდა შორეული ლატვიაიდან ჩამოსულ სტუმარს, რომელიც მათ მშობლიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესზე მოუთხრობდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თანდათან საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო მოძრაობამ, რომელსაც ახლა საყოველთაო გამოლვიძებას ვეძახით. ჩვენთან არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, ქალბატონ ინგუნას რომ თავისი აქტიური დამოკიდებულება არ გამოეხატა. ლატვიურ პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდებოდა მისი ნარკვევები და ჩანახატები საქართველოზე, მრისხანებით სავსე კორესპონდენციები უსამართლობის ცალკეულ შემთხვევებზე. ინგუნა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ლატვიელ ხალხს უტყუარი ცნობები მიაწოდა თბილისის 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ...

შემოდგომაზე ბედმა ისევ მომახვედრა ლატვიაში. აქ უკვე მელოდა მივლინებაში მყოფი მეგობარი, ლატვიური ენის სპეციალისტი უშანგი სახლთუცუშვილი. სწორედ მისი მეშვეობით დავაზუსტე ინგუნას ტელეფონის ნომერი...

– თქვენზე უკვე მელაპარაკა უშანგი, – მითხრა ინგუნამ, – ხვალ ლაჩპლესის – დაუგავაზე ლატვიელი ხალხის გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმია, მეც იქ ვიქნები.

სალამოს ლატვიის რადიოსთან ისე შევხვდით ერთმანეთს, როგორც ძველი მეგობრები. ინგუნამ სანთელი შემომთავაზა და ჟურნალისტ აივარ ბერიკისთან ერთად შევუერთდით ხალხის ზღვას, რომელიც ეროვნული დროშების ფრიალით მდინარე დაუგავას სანაპიროსაკენ დაეშვა. ეს მართლაც გრანდიოზული, ზღაპრული სანახაობა იყო. ჭარმოიდგინეთ ათეულ ათასობით ანთებული სანთელი, დაუგავას ზედაპირზე მოციაგე ვარსკვლავები, მინიატურულ ნაგებობებს რომ მოჰქონდათ...

ამდენი ღიმლიანი სახე დიდი ხანია არ მინახავს. ყოველი მხრიდან ვგრძნობდი მადლიერებით მოპყრობილ მზერას ქართველი ჟურნალისტისადმი, რომელიც სხვებთან ერთად ყვიროდა: „ბრივიბა ლატვიაი“ – თავისუფლება ლატვიას...

იმ სალამოს თავისუფლების ძეგლთან შემდგარ მიტინგზე ინგუნა ებელემ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. მართალია, ლატვიურისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ისე ხშირად მესმოდა „გრუზია“, რომ ყველაფერს მივხვდი – ინგუნა ისევ საქართველოზე, მის გაჭირვებაზე ლაპარაკობდა...

დღეს რომ ყოველ მეორე-მესამე ლატვიელს პირზე საქართველო აკერია და პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას ხარბად ენაფება, უპირველესად, ინგუნა ებელეს დამსახურებაა“ [9, 14-15].

აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული რ. რაჟუკის წლების განმავლობაში მუშაობდა უკვე დამოუკიდებელ საქართველოში „ნატოს“ ხაზით, როგორც მეკავშირე ოფიცერი კავკასიაში. მან საკმაოდ ბევრი გააკეთა აღნიშნულ ორგანიზაციასთან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

1989 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე ლატვიის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდა ექიმი რამაზ მიხეილის ძე შენგელია. ამჟამად, იგი არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და ვაშინგტონის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ლატვიის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივლინებული რ. შენგელია მუშაობდა პროფესორ ვ. უტკინთან. ამისპარალელურად, ვ. უტკინისა და პროფესორ ვახტანგ ფიფიას ერთობლივი ხელმძღვანელობით, იგი სადოქტორო დისერტაციაზეც მუშაობდა.

რ. შენგელია იგონებდა: „რიგაში ჩემს ჩასვლას დაემთხვა ლატვიის პირველი პრეზიდენტის იან ჩაკსტეს დაბადების დღე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საზეიმოდ აღნიშნავდა. მეუღლესთან ერთად ვენვიე პრეზიდენტის საფლავს და იგი ყვავილების თაიგულით შევამკე. მოხდა ისე, რომ, როდესაც მასმედიის საშუალებებმა გააშუქეს ეს მოვლენა, ყველგან წინა პლანზე ვჩანდი. ამან განაპირობა ჩემს ნაცნობ ლატვიელთა განსაკუთრებული პატივისცემა ჩემს მიმართ.

იმ პერიოდში ლატვიაში თანდათან ფართო მასშტაბებს იძენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის წევრებსაც დაუუახლოვდი. მათ შორის განსაკუთრებით დავუმეგობრდი ინგუნა ებელეს და მის მეუღლეს რომუალდს რაუჟესს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებთან. ამ ცოლ-ქმრის მეშვეობით შევხვდით ლატვიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ფიგურებს, მათ შორის სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს დაინის ივანსს, იმავე ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებს – ცალიტისსა და შკაპარსს, იურისტთა საზოგადოების პრეზიდენტს ვალდის ბირკავსს და სხვებს.

1989 წლის 13 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა მერაბ კოსტავა. ამასთან დაკავშირებით, რიგაში რამდენიმე მეგობართან ერთად დავაარსე მისი სახელობის ქართველთა საზოგადოება, რომელშიც ძირითადად იქაური ქართველი სტუდენტობა გაერთიანდა. ჩვენი საზოგადოება საკმაოდ აქტიურობდა. სისტემატურად ვხვდებოდით მასმედიის საშუალებების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად დეზორიენტირებულნი იყვნენ. გვინდოდა, რომ მათ ეს პროცესები ობიექტურად გაეშუქებინათ, რაც არაერთხელ შევძელით კიდევაც.

„ლაჩპლესის“ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, შევაკერინეთ ქართული ეროვნული დროშები და მონაწილეობის მისაღებად შევეუერთდით რიგის ქუჩებში დაწყებულ ლატვიელთა გრანდიოზულ დემონსტრაციას. ჩვენმა მისვლამ იქ მყოფთა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. გაისმოდა ხმამაღალი შეძახილები:

– „გრუზია! გრუზია! გრუზია!“

შემოდგომაზე ჩატარდა ლატვიის სახალხო ფრონტის ყრილობა, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებიც, მათ შორის – ავთანდილ იმნაძე და ალექო ქობულაშვილი. ყრილობის მონაწილეთა წინაშე საყურადღებო მოხსენებით წარსდგა ა. იმნაძე, რომელსაც ტაშით შეეგებნენ.

იმხანად, ბალტიის რესპუბლიკები ხმაშეწყობილნი იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, რაც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებზე არ ითქმოდა. გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ კავკასიელებიც ერთად ვიბრძვით სსრ კავშირიდან გამოსვლისათვის. ამ მიზნით, რიგაში მოვანყვეთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა ერთობლივი პრესკონფერენცია, რომელშიც ქართველთა მხრიდან მე ვმონაწილეობდი. მე ვცდილობდი მედიატორის როლის შესრულებას ურთიერთდაპირისპირებულ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რაც იმ დღეს მეტნაკლებად მოვახერხე. ჩემი გამოსვლის დედააზრი იყო კავკასიელთა გაერთიანება და დარაზმვა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მსგავსად ბალტიისპირელებისა.

მეორე დღეს, საღამოს, როდესაც რესპუბლიკური საავადმყოფოდან სახლში ავტობუსით ვბრუნდებოდი, მძღოლს რადიო მაღალ ხმაზე ჰქონდა ჩართული. გადმოსცემდნენ ინფორმაციას ჩვენს გუშინდელ პრესკონფერენციაზე. ჩემი ვრცელი გამოსვლა თითქმის სრულად გადმოსცეს. გადაღლილი ვიყავი და იმდენად მივეჯაჭვე რადიოს, რომ ავტობუსმა იმ პერიოდში რამდენიმე წრე გააკეთა... მძღოლმა ეს შემახსენა.

მე ვუთხარი, რომ რადიოთი ჩემს გამოსვლას გადმოსცემდნენ და მინდოდა ბოლომდე მომესმინა. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ლატვიელი მძღოლისათვის, რომელსაც, ჩემი გამოსვლა, თურმე, ძალიან მოეწონა, რომ მან, ჩემდამი პატივისცემის ნიშნად, ცარიელი ავტობუსი მოაბრუნა და სახლამდე მიმიყვანა, თან მთელი ამ ხნის განმავლობაში აქებდა საქართველოს და ქართველებს“.

1989 წლის ოქტომბრის მიწურულს, რიგაში დაარსებულ მერაბ კოსტავას საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ბესარიონ ბერაძე. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულნი იყვნენ ქართველი სტუდენტები, რომლებიც იმხანად რიგაში სწავლობდნენ: ნონა დევაძე, ინგა პაიჭაძე, გოჩა ცქიფურიშვილი, მაგდა კუპატაშვილი, მარინე ჯანელიძე, ლევან მჭედლიშვილი, ბესიკ ჟღენტი, გია სიჭინავა, ავთანდილ აქირთავა და სხვები.

1990 წლის თებერვალში ხსენებული საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს რიგაში მცხოვრები ქირურგი ზურაბ ქეცბაია.

საზოგადოების მიზანი იყო საქართველოს საკითხის, ქართული კულტურის პოპულარიზაცია ლატვიაში, ასევე მასმედიისათვის ობიექტური ინფორმაციის მინოდება. 1990 წელს საზოგადოებამ გამოსცა პირველი ქართული გაზეთი ლატვიაში, სახელწოდებით – „თბილისის ფურცელი“.

ქართულ და ბალტიურ არაფორმალურ ორგანიზაციებს შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობა, რითაც ამ ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში ახალი, საგულისხმო ფურცლები ჩაინერა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ბაქრაძე, იმავე მოძრაობის სხვა ლიდერთა მსგავსად, თავის საჯარო გამოსვლებში არ ფარავდა დიდ სიმპათიას ბალტიისპირელთა მიმართ, რომელთა პატრიოტიზმს და მაღალ სახელმწიფოებრივ შეგნებას იგი სამაგალითოდ სახავდა.

ერთ-ერთ ინტერვიუში ა. ბაქრაძე სავსებით სამართლიანად აცხადებდა: „არაფერი ისე საშიში არ არის ახლა ჩვენთვის, როგორც დაუოკებელი სურვილი – მთელი საქართველო თბილისში ცხოვრობდეს. თუკი შეიძლება ლიტვის საუკეთესო თეატრი პანია ქალაქ პანევეჟისში იყოს და არა ვილნიუსში, რატომ არ შეიძლება ამგვარი რამ საქართველოში? თუკი შეიძლება ყველაზე სახელგანთქმული კალათბურთელთა გუნდი კაუნასში იყოს და არა ვილნიუსში, რატომ არ შეიძლება ეს საქართველოში? თუკი შეიძლება მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული უნივერსიტეტი ტარტუში იყოს და არა ტალინში, რატომ არ შეიძლება ეს საქართველოში?“ [1, 175].

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთან, ზურაბ ჭავჭავაძესთან (1953-1989) მეგობრობდნენ და თანამშრომლობდნენ ლიტვის თავისუფლების ლიგის წევრები და, მათ შორის, ანდრიუს ტუჩკუსი.

1989 წლის 26 მაისს, თბილისში, ლენინის (ამჟამად – თავისუფლების) მოედანზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსანიშნავად, ხალხთმრავალი მიტინგი და დემონსტრაცია გაიმართა. მიტინგზე სიტყვით გამოსულთა შორის იყვნენ ლიტველი სტუმრები ანდრიუს ტუჩკუსი და შაკალენე [6].

იმავე წლის 11 ივნისს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ლიტველი ხალხისადმი სოლიდარობის ნიშნად, თბილისში, ოპერის ბაღში შედგა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა გრანდიოზული მიტინგი [11].

1990 წლის 11 მარტს, ლიტვის პარლამენტის მიერ სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირებას, მოსკოვის მხრიდან აგრესია და ბლოკადა მოჰყვა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ თავისუფლებისათვის მეზობელ ლიტველ მეგობრებს შეძლებისდაგვარად დახმარებოდა. საქართველოს წითელი ჯვრისა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების ხელმძღვანელების – ნოდარ ცქიტიშვილისა და სოსო კაციტაძის დახმარებით, თბილისში გაიხსნა საგანგებო საბანკო ანგარიში ლიტვის დასახმარებლად.

მაისში, თბილისიდან ვილნიუსში ჩაფრინდა სამი საბარგო თვითმფრინავი, რომელმაც 20 ტონა სურსათი და მედიკამენტები ჩაიტანა. ქართველთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სოსო კაციტაძე და შალვა ნიკლაური.

საქართველოში შეიქმნა ლიტვასთან ურთიერთობისა და მეგობრობის წარმომადგენლობა, რომელსაც სათავეში შ. ნიკლაური ჩაუდგა. იგი ხშირად ჩადიოდა ლიტვაში, სადაც დაუახლოვდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს, სეიმის თავმჯდომარე ვიტაუტას ლანდსბერგისს, სეიმის წევრებს: ალგირდას ენდრიუკაიტისს, ალგირდას კატკუსს, ალფონდას ვაისნორასს, ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარეს – რიმას ეილუნავიჩუსს, საინფორმაციო ცენტრის უფროსს – ალბინას ვისოტსკის, მფრინავ ვიტაუტას ეიდუკაიტისს, რომელიც თავის დროზე, ტარტუს დივიზიაში, ჩეჩნეთის მომავალ პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევეთან ერთად მსახურობდა და სხვებს.

1991 წლის დასაწყისში ბალტიისპირეთში მიმდინარე ცნობილი პოლიტიკური მოვლენების დროს, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზნით, კრემლმა რეპრესიულ ღონისძიებათა გატარება სცადა და სისხლიც კი დაღვარა, იქაურ ქართველთა გარკვეული ნაწილი, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდამხარ, ბარიკადებზე დადგა. მათ შორის გამოირჩეოდა ლატვიაში მცხოვრები სახელგანთქმული ჩოგბურთელი, მრავალი საპატიო საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ნუგზარ მძინარიშვილი (დაბადებული 1943 წელს, თბილისში), რომელმაც ლატვიელ ხალხში დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა. 2001 წელს იგი დაჯილდოვდა მედლით ამ ქვეყნის თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის.

1991 წლის იანვრის დასაწყისში ვილნიუსში კვლავ ჩავიდა ზემოხსენებული შ. ნიკლაური, რომელიც იმხანად უკვე საქართველოს

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო. მის მემუარებში საინტერესოდ არის მოთხრობილი 13-14 იანვარს ვილნიუსში განვითარებული მოვლენები.

მოგონებებში ვკითხულობთ: „სასტუმრო „დრაუგისტეში“ ვცხოვრობდი... 13 იანვარს, საღამოს, სასტუმროს ფანჯრიდან ვილნიუსში შემოსასვლელ გზას გავეყურებდი. შებინდებისას მუხლუხების შემზარავი ჟღარუნი გაისმა. მძიმე ტექნიკა ქალაქის ცენტრისაკენ მიემართებოდა... რამდენიმე საათში თითქმის ერთდროულად დაიწყო შეტევა სამ ობიექტზე – ბეჭდვით სახლზე, ტელეანძასა და ტელერადიოკომიტეტის შენობაზე. გრგვინვამ და ქუხილმა მოიცვა მთელი ქალაქი... სროლები მთელი ღამე გრძელდებოდა.

დილით მთავრობის სახლთან ჩავედი. მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიასა და გედიმინას გამზირზე ხალხის ტევა არ იყო... შეუპოვარი, შეშფოთებული და განწირული სახეები ერთმანეთში ირეოდა. ჩანდა, რომ თუნდაც სიცოცხლის ფასად არ დათმობდნენ ლიტველები მოპოვებულ თავისუფლებას...

მოედანზე ლიტვის ეროვნული დროშების ჯარი იდგა, მათ შორის იყო ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის და ბელორუსიის დროშებიც. არსად მოჩანდა ქართული დროშა. ოედანთან, გედიმინას გამზირის № 54 ა-ში ქართველი ქალბატონი დალი გოგეშვილი ცხოვრობდა. მას მივაკითხე, დროშა გამოვიტანეთ და მოედანზე გავშალეთ.

პოლიციამ დერეფანი გახსნა, ხალხი შეძახილებით გვხვდება, მოგვჩერებიან განუზომელი მაღლიერებით გამომხატველი მზერით, თვალცრემლიანნი. გაისმის ხმაშენწყობილი შეძახილები: „გრუზია“, „გრუზია“, „გრუზია“... ბოლოს, მრავალათასიანმა მიტინგმა „სულიკო“ იმღერა. ჩვენს დროშას დამატებითი ტარი მიამაგრეს და ყველაზე მაღლა ასწიეს, რასაც მქუხარე ტაში მოჰყვა.

ლიტველები მოედანს არ ტოვებდნენ. გამოცხადდა სადღელამისო მორიგეობა რაიონების მიხედვით, რაც თვეობით გაგრძელდა. ჩემი მორიგეობა განრიგის გარეშე იყო. მეც მათთან ერთად ვათენებდი...

14 იანვარს ლანდსბერგის შენობიდან გამოვიდა და ხალხს მოუწოდებდა სიმშვიდისაკენ, რათა არ აჰყოლოდნენ პროვოკაციებს, რაც მოსალოდნელი იყო...

მთავრობის დამცველთა შორის ძირითადად შერჩეული ახალგაზრდები იყვნენ. ფართო, მინებიანი შენობის პირველ სართულზე ბარიკადები მოეწყობა. გასული წლის მაისში მოსალოდნელი თავდასხმის დროს თუ სანადირო თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი, ახლა უკვე თანამედროვე იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. გარედან ხალხის

შეძახილები ისმოდა, ცენტრალურ შემოსასვლელთან ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის, ბელორუსიის და აზერბაიჯანის დროშებთან ერთად ირწეოდა საქართველოს ეროვნული დროშა... სეიმის შენობაში რომ შევედი, თან მახლდა ჟურნალისტი ელენა ვეისკუტე. მას ვთხოვე, მოეცათ ჩემთვის იარაღი. მისი პასუხი იყო:

– „ჩვენ სტუმრებს არ ვაომებთ“ [13, 29-35].

ხსენებულ მემუარებში ასეა აღწერილი თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულ ლიტველ გმირთა დაკრძალვა: „16 იანვარი დადგა – დღე ტრაგიკულად დაღუპულთა გასვენებისა. კათედრალურ მოედანზე ცამეტი ცხედარი ასვენია. ორატორები ერთმანეთს სცვლიან. ლიტველი ხალხი ეთხოვება დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ შვილებს. მოთქვამენ ზარები სამრეკლოზე და მათი ხმები შვილმკვდარი დედის გოდებად ჩამესმის. ნისლი აბრეშუმის სუდარასავით დაჰფენია გაფითრებულ სახეებს. ქალაქში ყველა ფანჯარაში სანთლები ანთია. კათედრალური მოედნიდან სასაფლაომდე ორი კილომეტრია. გზის ორივე მხარეს სანთლებით ხელში ჭირისუფალნი დგანან უძრავად. წინ ბავშვები ჩაუყენებიათ, მათაც სანთლები უკავიათ პანია ხელეებით. პროცესმა საათზე მეტხანს გასტანა. ბავშვები არ განძრეულან. მაოცებს მათი ნებისყოფა და გამძლეობა, ვაკვირდები მათ სახეებს, რაც კედლის ფრესკებზე გაცოცხლებულ ანგელოზებს მაგონებს. იდგნენ დუმილით, ზღვისფერ თვალებში სევდა ჩასდგომოდათ – სევდა და არა სიძულვილი, მხოლოდ მორჩილება ღვთისადმი. ციდან სამძიმარზე ჩამოფრენილ ანგელოზებს ჰგავდნენ, მშობლების მწუხრი უცვლელად ასახოდათ პატარა და ლამაზ სახეებზე...“

ერთ მთლიან თაიგულად ქცეულიყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ეროვნული დროშები. მათთან ერთად, თანაგრძნობით თავი დაეხარათ საქართველოსა და აზერბაიჯანის დროშებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შემორობოდათ იგივე რუსეთის იმპერიის მიერ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში და 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში დახოცილ პატრიოტთა სისხლი...

რეკდნენ ზარები და მათ ხმებში იჭედებოდა ლიტვის მომავალი. თავდახრილნი მადლობას სწირავდნენ შეწირულთ დაღვრილი სისხლისათვის, რომელი სისხლიც გაზაფხულზე ტიტებს ამოჰყვება და თავისუფალი ლიტვის ნათელ გზას დაეფინება“ [13, 34-35].

ლიტვის რესპუბლიკის ხელისუფლებამ პოლიტიკური თავშესაფარი შესთავაზა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს, რომელთა გარკვეული ნაწილიც, 1992 წლის იანვარში თბილისში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ემიგრანტად იქცა. საქართველოს დევნილი ხელისუფ-

ლების ნევრთა ნაწილი (მთავრობის თავმჯდომარე ბესარიონ გუგუშვილი, დეპუტატი მერაბ კიკნაძე და სხვ.) ვილნიუსიდან გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში, ხოლო დეპუტატები შალვა ნიკლაური, ავთანდილ კვეტენაძე და სხვები ლიტვაში რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ და გარემოცულნი იყვნენ ლიტველ მეგობართა ყურადღებით.

ბალტიის რესპუბლიკების ეროვნული მთავრობები თანადგომას უცხადებდნენ როგორც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს, ასევე ჩეჩნეთსაც.

პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის მეუღლე ალა დუდაევა იგონებს: „თავდადებული და მიზანსწრაფული ადამიანები აღმოჩნდნენ ჩვენი ლიტველი მეგობრები – ვიტაუტას ლანდსბერგისი და მისი თანამოსაზრეები: ალგირდას ენდრიუკაიტისი, ალგირდას პოტაცკასი, რომუალდას გოფერტენე და „ცენტრისტების“ პარტიის ლიდერი რომუალდას ოზოლასი. ჩვენი მეგობრობა თანდათანობით მეტ სიმტკიცეს იძენდა. ჩეჩნეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ასპარეზზე წარსადგენად სამივე ბალტიისპირა ქვეყანა ერთად იღვწოდა, განსაკუთრებით ლიტვა და ესტონეთი“ [4, 178].

1994 წლის თებერვლის შუა რიცხვებში გროზნოდან საქართველოში ჩამოვიდა საგანგებო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც, ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტ ზელიმხან იანდარბიევთან (ხელმძღვანელი) და სხვა ჩეჩენ დელეგატებთან ერთად, შედიოდნენ ლიტვის ხელისუფლების წარმომადგენლები: რ. გოფერტენე, ა. პოტაცკასი და ვ. ედუკაიტისი. დელეგაციის მიზანი იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ნეშტის მოკვლევა და გროზნოში გადასვენება, რაც მათ განახორციელეს [4, 185].

სსრ კავშირის დაშლისა და მასში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოსა და ბალტიის რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა.

საქართველოსა და თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხისადმი სიმპათია ბალტიელ მწერალთა შემოქმედებაშიც აისახა.

ლატვიური ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზატორის, პროფესორ უშანგი სახლთხუციშვილის (1939-2005) მიერ თარგმნილი ლატვიური ლიტერატურის ნიმუშებიდან ქართველი მკითხველი საზოგადოების განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ანდრის იაკუბანის სევდიანმა მოთხრობამ „თბილისო, თბილისო, თბილისო“ [5]. ამ ნაწარმოების მთავარ მოქმედ პერსონაჟს, ლატვიელ დისიდენტ იან ზემნიეკს უზომოდ მოსწონს კომპოზიტორ რევაზ ლალიძის შედევრი

– „თბილისი“, რომელიც დაიწერა პოეტ პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლექსის ტექსტზე.

ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის, ნინო ჩხიკვიშვილის შეფასებით: „ამ მოთხრობას ლაიტმოტივად სწორედ რევაზ ლალიძის „თბილისოს“ მელოდია გასდევს, როგორც ერისა და პიროვნების თავისუფლების, ბედნიერებისა და სრულყოფილების სიმბოლო. იან ზემ-ნიეკის, ამ დისიდენტი, ახლა უკვე ცხოვრებისაგან განზილებული კაცის ნოსტალგიაც ეს არის, ამიტომ ენატრება საქართველო და ქართველები, ამიტომ ქცეულა მისთვის თბილისი ოცნების ქალაქად, ამიტომ უკვეთავს ასე დაჟინებით მთელი საღამო რესტორან „სევერში“ მხოლოდ „თბილისოს“, ამიტომაც ითხოვს თვითმკვლელობის წინ ისევ ამ სიმღერის გაგონებას... და ამ სიმღერა-სიმბოლოთი აერთიანებს ლატვიელი მწერალი ორი პატარა, თვითმყოფადი ერის ისტორიულ ბედისწერასაც“ [12, 87].

ამრიგად, სსრ კავშირის შემადგელობაში იძულებით მოქცეული ქართველი და ბალტიელი, კერძოდ, ლატვიელი, ლიტველი და ესტონელი ხალხების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილს შორის ჩამოყალიბდა ერთგვარი შინაგანი სოლიდარობის გრძნობა, რომელიც საკმაოდ ხშირად ვლინდებოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკაკი, გვიანლა იქნება (ინტერვიუ). აკაკი ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული „და აღვამალლე რჩეული ერისაგან ჩემისა“, შემდგენელ-რედაქტორი თინათინ კობალაძე, თბილისი, 2002.
2. გამყრელიძე თამაზ, შეხვედრები აკაკი ბაქრაძესთან. აკაკი ბაქრაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული „და აღვამალლე რჩეული ერისაგან ჩემისა“, შემდგენელ-რედაქტორი თინათინ კობალაძე, თბილისი, 2002.
3. გივი ბერიკაშვილის ნაამბობი, საქართველოს სატირიკოსთა და იუმორისტთა ასოციაციის კრებული „სალაღობო კალენდარი ანუ 366 ღიმილზე მეტი“, შეადგინეს აკაკი გენაძემ და ვალერიან მამუკელაშვილმა, რევაზ მიშველაძის რედაქციით, თბილისი, 1992.
4. დუდაევა ალა, მილიონ მეერთე, წიგნი I, რუსულიდან თარგმნა ასმათ ლეკიაშვილმა, თბილისი, 2010.

5. თბილისო, თბილისო, თბილისო. ლატვიური მოთხრობები და რომანი, ლატვიურიდან თარგმნა უშანგ სახლთხუციშვილმა, თბილისი, 1997.
6. „ივერია“, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთი, 1989, № 8.
7. ინტერვიუ გურამ მინაშვილთან, ჩაინერა ნათია უტიაშვილმა, ჟურნალი „თბილისელები“, 2006, № 27 (288).
8. კიკნაძე ვასილ, გამოთხოვება მოგონებებთან (მემუარები), თბ., 2007.
9. ლებანიძე ელგუჯა, ჩვენი შორეული ახლობლები, ჟურნალი „საქართველოს ქალი“, 1990, № 1.
10. ლორთქიფანიძე მარიამ, ჩემი გზა (ზოგი რამ, რაც გამახსენდა), შემდგენელი ლევან კიკვიძე, თბილისი, 2007.
11. ღმერთო სამშობლო უცოცხლე (ედღვნება ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას), შემდგენელი ანზორ აბუანდაძე, თბილისი, 1993.
12. ჩხიკვიშვილი ნინო, ის კაცი იყო და ჰანგად იქცა, საზოგადოებრივი ჟურნალი „ომეგა“, 2000, № 4.
13. ნიკლაური შალვა, ემიგრანტის დღიურები (ლიტვა-ნიდერლანდები), თბილისი, 2006.
14. ხალვაში ფრიდონ, ომრი (მოგონებები), თბილისი, 2007.
15. ჯავახიშვილი ნიკო, ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2009, №1(5).
16. ჯავახიშვილი ნიკო, ოთხი ეტიუდი ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2009, №2(6).
17. ჯავახიშვილი ნიკო, ქართველთა კვალი ბალტიისპირეთში (XVII საუკუნის მიწურულიდან – XIX საუკუნის შუა ხანებამდე), „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2010, №1(7).
18. ჯავახიშვილი ნიკო, ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისიდან – XX საუკუნის დასაწყისამდე), „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2010, №2(8).
19. ჯავახიშვილი ნიკო, ქართულ-ბალტიური ურთიერთობა ემიგრაციაში. ბალტიის ქვეყნები ქართველ ემიგრანტთა თვალსაწიერში (1921-1991 წწ.), „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2010, №2(8).
20. ჯავახიშვილი ნიკო, ქართველი გენერლები ბალტიისპირეთში (XVIII საუკუნის მიწურულიდან – XX საუკუნის ოციაწ წლებამდე), „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2011, №1(9).

21. ჯავახიშვილი ნიკო, ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის დროს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 2011.
22. ჯავახიშვილი ნიკო, ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2011.
23. „Атмода“, информационный бюллетень Народного фронта Латвии „Пробуждение“, Рига, 27. II. 1989.
24. „Атмода“, информационный бюллетень Народного фронта Латвии „Пробуждение“, Рига, 27. III. 1989.
25. „Атмода“, информационный бюллетень Народного фронта Латвии „Пробуждение“, Рига, 15. V. 1989.
26. Блейере Д., Бутулис И., Зунда А., Странга А., Фелдманис И., История Латвии. XX век, Рига, 2005.
27. Бутулис И. Зунда А., История Латвии, Перевод – Р. Добровенский, Рига, 2010.
28. Джавахишвили Н., Малоизвестные страницы истории грузино-балтийских взаимоотношений (X-XVIII вв.), „Кавказ и глобализация“, Журнал социально-политических и экономических исследований, Институт стратегических исследований Кавказа, CA&CC Press, Швеция, т. 4, выпуск 3-4, 2010.
29. Bluzma V., Jundzis T., Riekstins J., Sharp G., Strods H., Regaining Independence: Non-violent Resistance in Latvia 1945-1991, Riga, 2009.
30. Javakhishvili N., Little-known pages of the history of Georgian-Baltic relations in the 10th-18th centuries, „The Caucasus and globalization“, Journal of Social, Political and Economic Studies, Institute of strategic studies of the Caucasus, CA&CC Press, Sweden, volume 4, issue 3-4, 2010.
31. The Latvian Saga, by U. Germanis, Editor O. Kalnins, Translated from the Latvian by K. Streips, Riga, 2007.

Niko Javakhishvili

*Doctor of Historical sciences, Professor of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Chief scientist-researcher of the Modern and
Contemporary History Department of the
Ivane Javakhishvili Institute of History and
Ethnology*

**From the History of Georgian-Baltic Solidarity
(2nd half of XX century)**

Summary

Russification policy, consistently pursued by the Soviet Union, was obstinately opposed by the progressive part of the Georgian and Baltic people, in particular, Latvian, Lithuanian and Estonian nations. Scientists, Literary and cultural figures resisted to the abovementioned imperialist policy of the Kremlin as much as they could.

Georgians and Baltic people developed a kind of inner feeling of solidarity between each other, which was manifested in many occasions. This article cites several important facts from the history of Georgian - Baltic solidarity.